საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

2 ივლისი, შაბათი, 1991 წ.
№ 122 (10 585) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ბუნტი სამბოს სამყაროში ჩვენი გამარჯვებით დასრულდა

# მეამბოხეთა თავგადასავალი იტალიაში

- ევროპის მაღალგანვითარებული სპორტული ქვეყნები დიდხანს უხმოდ [illegible] სსრ კავშირის სამბოს ფედერაციის ნება-სურვილს. სპორტის ამ სახეობის [illegible]. როგორ მოითოკა საერთაშორისო ფედერაციის ზოგი ქვეყნები, რომლებიც [illegible] ვდნენ საბჭოთა ფედერაციის დიქტატს, გაზრდაზ...

**როცა** იაპონიამ ამ სახეობის მსოფლიო სარბიელზე გატანის მიზნით, ძიუდოს პროპაგანდა დაიწყო, არც სახსრები დაუშურებია, არც სკოლების გახსნაზე და სპეციალისტთა მივლინებაზე, არც ლეიბებით, კიმონოებით თუ სამსაჯო ტექნიკით მომარაგებაზე უთქვამს უარი დაინტერესებული ქვეყნებისთვის. საბჭოთა ფედერაციამ სამბოს პროპაგანდა ამგვარი ზრუნვის გარეშე მოახვია თავს მრავალ ქვეყანას. თვალის ასახვევად, ვითომ ყურადღების მისაქცევად, ათასში ერთხელ ხელის გამოღება საქმეს ვერ უშველიდა. ლატაკს რა შეეძლო, თუმცა, თუნდაც შესძლებოდა, შოვინიზმი, ამბიციები, მსოფლიოში ყველგან და ყველაფერში ბატონობის პათოლოგიური ჟინი მაინც არ მისცემდა შესაძლებლობას შეგირდს, ოსტატისათვის გადაეჭარბებინა.

იაპონელები არ თვლიან, რომ საქართველოში ძიუდოს ესოდენ დიდი პოპულარობით და ამ სახეობაში ქართველების იაპონელებთან გატოლებით ძიუდომ ან იაპონიამ რაიმე დაკარგა. პირიქით, ძიუდოს მამამთავრები ფიქრობენ, რომ „ქართველთა ძიუდომ" ახალ სიმაღლეზე აიყვანა იაპონელთა ეროვნული სახეობა და დიდი მონდომებით სწავლობენ ამ „საიდუმლოებას". მაგრამ იაპონელი სხვაა და რუსი სხვა.

ადრე საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების ტრადიციული ორთაბრძოლების ეროვნული სახეობებიდან, განსაკუთრებით კი ქართული ჭიდაობის მდიდარი საგანძურიდან აღებული ილეთებით შექმნილი სამბო იმპერიის ერთგულმა საბჭოთა სპორტმა სახელმწიფოს ზეძლიერების სამსახურში ჩააყენა.

„გაფრთხილდი, სახელის მოხვეჭის მსურველო, საწინააღმდეგო რასმე არ გადაეყარო" — მოძღვრავდა ადამიანებს ბრძენი სოკრატე. სამბოს საკავშირო ფედერაცია კი გადაეყარა. სხვა ქვეყნებისათვის გუნდური პირველობის კი არა, ერთი უბრალო მედლის დათმობაც არ სურდა, „სახელს უფრთხილდებოდა", ასე იქცნენ სხვა ძლიერი თუ ნაკლებად ძლიერი სახელმწიფოები ფიანდაზად, რომელზედაც ამაყად და ტრიუმფით დააბიჯებდა მუდამ დიდების კვარცხლბეკისაკენ მავალი საბჭოთა ნაკრები.

სამბოში საბჭოთა დიქტატის წინააღმდეგ „ჩუმი ხმაური" ადრე კულისებს არ გასცილებია, მაგრამ ბუნტი, რომელმაც დააჩქარა „შეთქმულთა" ლეგალიზაცია, მხოლოდ სამბოს საბჭოთა ფედერაციისადმი ქვეყნების ერთსულოვანი დაპირისპირების შედეგი არ ყოფილა. კატალიზატორის როლი აქ უფრო საზღვარგარეთის ცალკეული ეროვნული ფედერაციების ხელმძღვანელთა ურთიერთქიშპმა და წყენამ ითამაშა. საფრანგეთის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა ეტიენ ლაბრუსმა მოხერხებულად გამოიყენა საბჭოთა ფედერაციის ზოგიერთი მხარდამჭერი ქვეყნის წარმომადგენელთა უთანხმოება სამბოს სამყაროში ამბოხების მოსაწყობად. თუმცა, ბატონმა ლაბრუსმა ფრანგული დიპლომატია და სიფრთხილე მაინც გამოიჩინა — საქმეში უპირველესად იტალია გარია და მისი ხელით დაიწყო სამბოს საბჭოთა ფედერაციისათვის წყლის შეყენება. ლაბრუსის სცენარი „თამაშში" იტალიის შემდეგ, პირველ ყოვლისა, რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს ჩაბმას ითვალისწინებდა. საქართველოს, თავის მხრით, ლიტვის ფედერაციისათვის უნდა გაეწია რეკომენდაცია.

დაყოვნების დრო აღარ იყო, „შეთქმულება" გახმაურდა თუ არა, საბჭოთა კავშირის ფედერაცია აშკარა ბრძოლაში ჩაება. რუსეთისა და საქართველოს რესპუბლიკის ფედერაციები მუქარით აიკლეს. კაცმა რომ თქვას, დასაკარგი ჩვენ რა გვქონდა, მაგრამ, თუ ცენტრმა გულში ბოღმა ჩაიხვია, კარგად ვიცით, ეს რით შეიძლება დამთავრდეს... გააჩნია, რას ჩაიფიქრებენ. ახლაც შარის მოდებას იტალიაში გამგზავრების წინ მოველოდით, აეროპორტში, მაგრამ, ჩვენდა გასაოცრად, შერემეტიევოში სულ ღიმილით და მწვანე შუქით გვაცილებდა თვითმფრინავის სავარძლამდე. ცენტრის ერთგული მოხელეები ერთსა და იმავე ხრიკებს იშვიათად მიმართავენ.



სასულიერო სასტუმრო, სადაც ცხოვრობდა საქართველოს დელეგაცია.

ნუთუ ასე იოლად დათმეს, ნუთუ მუქარა-დაშინება მხოლოდ თვითმიზანი იყო და მეტი არაფერი? — ვეკითხებოდით ერთმანეთს მას შემდეგაც კი, როცა ტურინში დავბანდავდით. მაგრამ... გამოირკვა, რომ ამჟამად ცენტრის ოინებს საერთაშორისო მასშტაბი მიუღია. ის, რომ ტურინში რაღაც ხდებოდა, საფრანგეთისა და იტალიის ფედერაციების ხელმძღვანელებთან პირველივე შეხვედრისას ვიგრძენით, მაგრამ რა უნდა გვექნა. „კარტის გახსნას" არავინ აპირებდა, ჩვენ კი მეტის მოთმენა აღარ შეგვეძლო, დროულად უნდა გვცოდნოდა, რა მოხდა, რატომ გაისმოდა ასე ხშირად საქართველოს, რუსეთისა და ლიტვის მისამართით სიტყვები: „სტუმრები", „საბჭოთა რესპუბლიკა", „ტურნირი" (და არა ევროპის ჩემპიონატი) და ა. შ.

იტალიის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი ღვთის მსახურია. ვიფიქრეთ, რომ, თუ ვინმე გვეტყოდა სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს, ეს უპირველესად პადრე მარიო ლუი შეიძლებოდა ყოფილიყო. ტურინის მოძღვარს მეორე დილისთვის სასულიერო სასტუმროს ბაღში (ჩვენი დელეგაცია ამ შესანიშნავ სასტუმროში ცხოვრობდა) დავუნიშნეთ შეხვედრა ზოგიერთ ორგანიზაციულ საკითხზე მოსათათბირებლად. ფაქტობრივად, თურმე ამ შეხვედრით ვიწყებდით ბრძოლის პირველ რაუნდს შეამბოხეთა ინტერესების დასაცავად, საბჭოთა სპორტის მუშაკების შეთავეობით სახელმწიფოთა დონეზე გასული პოლიტიკის წინააღმდეგ.



პირველი „საიდუმლო" თათბირი პადრე მარიო ლუისთან (ფოტოზე შუაში) სასულიერო სასტუმროს ბაღში.

**თენგიზ გაჩეჩილაძე,**
ტურინი — თბილისი.

(გაგრძელება იქნება).

## ნაკრების ახალი მწვრთნელები

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის სხდომაზე საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრების უფროს მწვრთნელად აირჩიეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თემურ ხუბულური, ქალთა გუნდის უფროს მწვრთნელად — ზურაბ ზოგოლაური.

## ერთადერთი გადადებული...

**წყალტუბო** 30 ივნისი, (ტელეფონით). მოჭადრაკე ქალთა რესპუბლიკურ ჩემპიონატზე კიდევ ორი — მეექვსე და მეშვიდე ტურის პარტიები გათამაშდა. ხუთი ტურის მერე 4,5-4,5 ქულით ლიდერობდნენ გორელი ციალა ქასოშვილი და თბილისელი ინგა ხურცილავა. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა კიდევ ერთი თბილისელი თეა ლანჩავა. მეექვსე ტურმა ერთგვარი ცვლილებები შეიტანა ლიდერთა განლაგებაში. ქასოშვილი შავი ფიგურებით ეთამაშებოდა ქუთაისელ ოლოლი ალხაზაშვილს და ყაიმს დასჯერდა, ხურცილავამ კი თეთრი ფიგურების უპირატესობა გამოიყენა, დაამარცხა თანაქალაქელი იამზე თვაური და დაწინაურდა. ლანჩავამ ვერ ისარგებლა ქასოშვილის მიერ ნახევარი ქულის დაკარგვით, რათა წამოსწეოდა მას — სამტრედიელი სოფიკო ტერელაძე შავი ფიგურებით უნარიანად გაუმკლავდა მის იერიშებს და საბოლოოდ მეტოქენი დაზავდნენ.

ამ ტურის სხვა წყვილთა შეხვედრებიდან შავი ფიგურებით მოთამაშეებმა ორჯერ მიაღწიეს უპირატესობას — ოჩამჩირელმა ეკა კემულარიამ წყალტუბოელ ასმათ კვანტალიანთან, თბილისელმა ლელა თანდაშილმა — ქუთაისელ სოფიკო ნიკორაძესთან. ყაიმზე შეთანხმდნენ ქუთაისელი ნათია აფხაიძე და რუსთაველი ლალი აგაბაბიშვილი.

მეშვიდე ტურში ყურადღებას იქცევდა ლიდერების — ხურცილავასა და ქასოშვილის დუელი. ქასოშვილი თეთრი ფიგურებით თამაშობდა. გადამწყვეტ უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია და პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

ლანჩავა თანდაშვილს ხვდებოდა. ამ უკანასკნელმა თანდათან ხელთ იგდო ინიციატივა და მეტოქე აიძულა დანებებოდა. მეშვიდე ტური გამორჩეული იყო იმით, რომ მოწინააღმდეგენი არც ერთ პარტიაში არ დაზავებულან, ამასთან, ჩემპიონატში ერთადერთი პარტია სწორედ ამ დღეს გადაიდო და იგი ხვალ დასრულდება. მეშვიდე ტურის სხვა შედეგები: თვაური — აფხაიძე 1:0, აგაბაბიშვილი — ნიკოლაძე 1:0, ალხაზიშვილი — კემულარია 1:0, ტერელაძე — კვანტალიანი 1:0.

გადადებული პარტიის დასრულებამდე ხურცილავას 5,5 ქულა ჰქონდა, ქასოშვილს — 5, ლანჩავასა და თანდაშვილს — 4,5-4,5.

**წყალტუბო.** 1 ივლისი (ტელეფონით). დღეს მოჭადრაკე ქალთა რესპუბლიკურ ჩემპიონატზე ერთადერთი გადადებული პარტიის დასამთავრებლად დაფას მიუსხდნენ ციალა ქასოშვილი და ინგა ხურცილავა. საშინაო ანალიზმა, როგორც ჩანს, მეტოქენი დაარწმუნა იმაში, რომ ყველაზე რეალური ვარიანტი დაზავება იყო. მათ სულ რამდენიმე სვლა გააკეთეს. პარტია, საბოლოოდ, ყაიმით დამთავრდა.

მე-8 ტურის წინ, რომელიც 3 ივლისს გაიმართება, ლიდერს — ხურცილავას 6 ქულა აქვს და ნახევარი ქულით ასწრებს ქასოშვილს, რომელსაც თითო ქულით ჩამორჩებიან მესამე-მეოთხე ადგილებზე მყოფი თბილისელები: თეა ლანჩავა და ლელა თანდაშვილი.

## გულშემატკივრებმაც ვერ უშველეს

**რომი.** დამთავრდა ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ იუგოსლავიისა და იტალიის გუნდები. პირველი ტაიმი ადგილობრივი გულშემატკივრების მხურვალე მხარდაჭერით მოიგეს მასპინძლებმა — 48:41.

შესვენების შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა. განსაკუთრებით გააქტიურდნენ დინო რაჯა და ტონი კუკოჩი. მათი ნეიტრალიზება იტალიელებმა ვერაფრით მოახერხეს. 27-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა, მერე კი დაწინაურდნენ იუგოსლავიელები, რომლებმაც შეხვედრის ბოლომდე შეინარჩუნეს უპირატესობა და გაიმარჯვეს — 88:73.

იტალიის პრესამ საგანგებოდ გამოჰყო რაჯასა და კუკოჩის თამაში, რომლებიც, ამავე დროს, ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები იყვნენ. პირველმა გუნდს 23 ქულა შესძინა, მეორემ — 20.

ჩემპიონატში ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. იუგოსლავია, 2. იტალია, 3. ესპანეთი, 4. საფრანგეთი, 5. საბერძნეთი, 6. ჩეხოსლოვაკია, 7. პოლონეთი, 8. ბულგარეთი.

## „კომპენსაციაც" ასეთი უნდა

**უიმბლდონის** ტურნირის ორგანიზატორთა დიდსულოვნებას უნდა მივაწეროთ ის, რომ პირველ წრეში დამარცხებულიც კი გულნატკენი არ ტოვებს ლონდონს. ვაჟები „კომპენსაციის" სახით 3600 გირვანქა სტერლინგს იღებენ, ქალები კი ოდნავ უფრო ცოტას — 2790-ს. მოდი და ნუ იტყვი ამის შემდეგ, რომ მთავარი უიმბლდონში გამარჯვება კი არა, მონაწილეობაა.

ეს თანხა ყოველი წრის შემდეგ, ბუნებრივია, იზრდება და ბოლოს კოლოსალურ რაოდენობას აღწევს, მაგრამ პრემიებზე საუბარი ჯერ ნაადრევია. წვიმამ და ავდარმა იმდენად არია ტურნირის გრაფიკი, რომ ზოგ ჩოგბურთელს მხოლოდ პირველი წრე აქვს მოლეული, ზოგი კი მეოთხე შეხვედრას ატარებს.

ბუნებრივია, მომრავლდა სიურპრიზებიც. ჯერჯერობით უიმბლდონის მთავარ სენსაციად ითვლება 19 წლის იუგოსლაველ გორან ივანიშევიჩის მარცხი 29 წლის ინგლისელ ნიკ ბრაუნთან, რომელსაც მსოფლიო კლასიფიკაციაში 591-ე ადგილი უკავია. ბრაუნი უიმბლდონის მონაწილე ამ მაჩვენებლით, ცხადია, ვერ გახდებოდა — იგი სიაში მოხვდა ორგანიზატორთა „ჯავშნით" და, როგორც ხედავთ, სავსებით გაამართლა ნდობა — 4:6, 6:3, 7:6, 6:3. არადა, ივანიშევიჩს სპეციალისტები არც თუ უსაფუძვლოდ ფავორიტთა შორის ასახელებდნენ.

იუგოსლაველის ბედი კინაღამ ივან ლენდლმაც გაიზიარა. ჩეხმა რის ვაი-ვაგლახით მოუგო სამსაათიანი ბრძოლა ამერიკელ მალივაი ვაშინგტონს, თანაც ორი პირველი პარტიის შემდეგ ლენდლი კატასტროფის წინაშე იდგა — 4:6, 2:6, 6:4, 6:4, 7:5.

ალბათ არც ერთ ჩოგბურთელს არ ჰყავს უიმბლდონზე იმდენი გულშემატკივარი, რამდენიც 38 წლის ამერიკელ ჯიმი კონორსს. წინა დღეს მან ამ ტურნირის საიუბილეო, მეასე შეხვედრა მოიგო, ასმეერთე კი წარუმატებელი გამოდგა. კვირას ვეტერანი დამარცხდა ახალგაზრდა თანამემამულესთან დერიკ როსტანიოსთან — 6:7, 1:6, 4:6.

სამაგიეროდ, ბრწყინვალე ფორმაშია მეორე ვეტერანი, 32 წლის ამერიკელი ჯონ მაკინროუ. კვირას მან ლამაზ, ჭეშმარიტად დიდოსტატურ სტილში დაამარცხა ფრანგი ჟან-ფილიპ ფლორიანი — 6:2, 7:6, 6:1. ახლა საერთო ყურადღების ცენტრშია მისი მეოთხედფინალური შეხვედრა მსოფლიოს პირველ ჩოგანთან, შვედ სტეფან ედბერგთან.

„როლან გაროსზე" გამარჯვების შემდეგ ყურადღებას იპყრობს ამერიკელ ჯიმ კურიეს გამოსვლაც. როგორც ჩანს, იგი ბალახის კორტზეც ისევე წარმატებით თამაშობს, როგორც მიწის მოედანზე. კურიემ ფრანგ არნო ბეტჩთან გამარჯვების შემდეგ ადგილი დაიმკვიდრა თექვსმეტ უძლიერესს შორის.

# „საქართველოს გა-უ-მარ-ჯოს“!

## ქართველ ტანმოვარჯიშეთა ვიზიტი დორტმუნდში

„1891-1991“. მკითხველმა, ცხადია, უკვე შეამჩნია ეს ციფრები სათაურის გვერდით მოთავსებულ ემბლემაზე. ასეთი გამოსახულება (ცაცხნა თუ უზარმაზარი) მრავლად ამშვენებდა გერმანიის დასავლეთით მდებარე ქალაქ დორტმუნდის ქუჩებსა თუ შენობებს. სამკერდე ნიშნებს, ბუკლეტებს, სარეკლამო ფარებს ქართველ სპორტსმენთა ვიზიტის დღეებში.

დიახ, დორტმუნდის სპორტულ საზოგადოებას არსებობის ზუსტად საუკუნე შეუსრულდა ივნისში. ამიტომ იყო, რომ დორტმუნდისა და მის ახლომდებარე ქალაქებში ფართოდ აღინიშნა ეს იუბილე, იმართებოდა სხვადასხვა სახის ფესტივალები — სიმღერის, ცეკვის, სპორტის...

— განსაკუთრებით მასშტაბური იყო სპორტული ფესტივალი, რომელშიც სხვადასხვა სახეობათა წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა: ფეხბურთელებმა, ხელბურთელებმა, მოცურავეებმა, მძლეოსნებმა, აკრობატებმა, ბატუტისტებმა, ტანმოვარჯიშეებმა — გვიამბობს სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველოს უფროსი, ზურაბ კუტალაძე. — თავიანთ იუბილეზე დორტმუნდელებმა საქართველოს სპორტული ტანმოვარჯიშეებიც მიიწვიეს. გუნდში ჩვენი სპორტსაზოგადოების სამ-სამი ვაჟი და ქალი იყო: ქუთაისელები — სოფიკო მანაგაძე და მაია ყორყოლიანი, თბილისელები — მარინე ესებუა, ლევან სისაური, ნუგზარ ღვინიაშვილი და კობა ჩოხელი, მწვრთნელებად რუსუდან სიხარულიძე და როინ პასიკაშვილი გვყავდა. დელეგაციას ხელმძღვანელობდა აჭარის პროფკავშირთა კონფედერაციის მდივანი დოდო მექვაბიშვილი, ხოლო თარჯიმნობა ნელი გორგაძეს დაეკისრა.

ცხადია, სპორტული გამოსვლების გარდა ჩვენი დელეგაციის წევრებმა მოინახულეს და დაათვალიერეს გერმანიის სხვა ქალაქებიც, მათი სპორტული ბაზები.




ქართველი ტანმოვარჯიშენი მიიწვიეს ბავშვთა უზარმაზარ ქალაქ „ფანტაზიალენდში“ („დისნეი-ლენდის“ მსგავსი), ადგილობრივ ლუდის ქარხანაში, ყვავილების დღესასწაულზე, მიღება გაუმართეს ქალაქის მერიაში...

ჩვენი სპორტსმენების პირველი გამოსვლისთანავე დორტმუნდის ტანვარჯიშის კეთილმოწყობილ დარბაზში გაისმა საქართველოს ეროვნული ჰიმნი. სარბიელს საქართველოს ეროვნული დროშაც ამშვენებდა. გერმანელებს ძალიან მოეწონ[...] ქართველი ტანმოვარჯიშეები, გა[...]საკუთრებით მანაგაძე და სისაური. სტუმრებს სთხოვეს ერთობლივი ვარჯიშიც ჩაეტარებინათ მასპინძლებთან.

ასევე განმეორდა ქალაქ ჰომბრუხშიც, სადაც ჩვენს სპორტსმენებს ადგილობრივ სტადიონზე მოუხდათ გამოსვლა.

გამომშვიდობებისას მასპინძლებმა „სურვილი“ გამოთქვეს თავიანთი უძლიერესი ტანმოვარჯიშეები გამოიგზავნონ სრულიად საქართველოს სპორტულ თამაშებში მონაწილეობისათვის, მომავალი წლის აგვისტოში კი დორტმუნდის დელეგაცია საპასუხო ვიზიტით ეწვევა თბილისს.

— მართლაც იშვიათი სტუმართმოყვარეობით შეგვხვდნენ დორტმუნდელები და ჰომბრუხელები — განაგრძობს საუბარს მსოფლიოს ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი რუსუდან სიხარულიძე. — საცხოვრებლად ყველანი ქალაქის ცენტრში, ოჯახებში დაგვაბინავეს, დიდ პატივს გვცემდნენ, ხშირად გვაკავშირებდნენ ტელეფონით თბილისს. თავდაპირველად რუსები ვეგონეთ, მაგრამ, როდესაც გაერკვნენ ყველაფერში, მოგვიბოდიშეს და სულ იმის ცდაში იყვნენ, ჩვენგან რაც შეიძლება მეტი ქართული სიტყვები ესწავლათ, სხვათა შორის, მასპინძლებმა გვიჩვენეს მათთან გამოშვებული ქართულ-გერმანული ლექსიკონიც. გამოსათხოვარ სალამო-ბანკეტზე ერთად ვიმღერეთ გერმანული და ქართული სიმღერები. „საქართველოს გა-უ-მარ-ჯოს-!“ — ამ სიტყვებით გამოგვაცილეს გულისხმიერმა მასპინძლებმა მაინის ფრანკფურტის აეროპორტიდან.

მართლაც რარიგ საჭიროა დღეს საქართველოსათვის ასეთი კონტაქტები, ჩვენმა გოგოებმა და ბიჭებმა რომ დაამყარეს გერმანიის მიწა-წყალზე.

**ოთარ ოთარაშვილი**

• • •

**სურათზე:** სტუმარ-მასპინძლები ერთ კადრში.

---

საქართველოს ჩემპიონატი რაგბიში

# ეროვნული ლიგა

## ფინალური ოთხეული

**თბილისი. 26 მაისის სახელობის სტადიონი. 29 ივნისი.**
**„ვესტა“ (თბილისი) — „გელათი“ (ქუთაისი) 67:8, (89:8).**

„ვესტა“: მარჯანიშვილი, ა. ხვედელიძე, ხესელია, ჩიქვინიძე, ვაშაძე, ჩავლეიშვილი, ქერაული (ოვაძე), გაგნიძე, ლუდუშაური, კ. გიუნაშვილი, ნარიმანიძე, გ. გიუნაშვილი (ნ. ხვედელიძე), რაფავა, ჯაფარაშვილი, ვართანიანი.

„გელათი“: შანიძე, თედოშვილი (ცერცვაძე), ჯანაშია (კოტრიკაძე), ხუჭუა, ხილაგაძე, ქიმუცაძე, მალლაკელიძე, ბეშკენაძე, გიორგაძე, ხვანაძე, ფიოლია, ლიკლიკაძე, რუხაძე, შვანგირაძე, გაბიძაშვილი.

მსაჯი: ზურაბ რეხვიაშვილი (თბილისი).



ფინალური ოთხეულის გუნდების ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია: „აია“ და „ვესტა“ ალბათ, უმტკივნეულოდ მოიპოვებენ ფინალში თამაშის უფლებას, მანამდე კი მათ შეხვედრებს მხოლოდ ფორმალური ხასიათი ექნება.

ასე იყო ამ მატჩშიც. ამასთან, ქუთაისელთა ლიდერი მაჩიტიძე დაშავებული გახლდათ და „გელათმაც“ ვერ ააწყო თამაში. ამან „ვესტას“ ადვილად . გაამარჯვებინა, თუმცა ანგარიში სტუმრებმა გახსნეს: ქიმუცაძემ არეკნი გაიტანა. ეს იყო და ეს, „გელათმა“ მეტი ვერაფერი შეძლო. სამაგიეროდ, ჩავლეიშვილმა ჯერ საჯარიმოთი გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი მარჯანიშვილის, ნარიმანიძის და ჯაფარაშვილის მიერ გატანილი ლელოები გარდასახა. განსაკუთრებით აქტიურობდა გია გიუნაშვილი, რომელმაც ორჯერ დაამიწა ბურთი.

შესვენების შემდეგ „გელათი“ უფრო მოეშვა, „ვესტა“ კი პირიქით — გალაღდა და, როგორც სჩვევია, „ნაირ-ნაირი“ ლელოებიც გაიტანა. ორჯერ ნარიმანიძემ და ერთხელ კახა გიუნაშვილმა მორკინალების იერიშები დაასრულეს, ბესელია და ჩავლეიშვილი მიმართულებაშეცვლილ მარაოებში ჩაერთვნენ და ლელოები გაიტანეს. ალექსანდრე ხვედელიძემ ერთხელ კოლექტიური შეტევა დაასრულა, მეორედ კი საკუთარ 22-მეტრიანი მოედნიდან გაექცა მეტოქეებს. ბოლო წუთზე მარჯანიშვილმა ჩვეულ სტილში მოატყუა რამდენიმე მეტოქე და წერტილი დაუსვა ანგარიშს. სამი ლელო გარდასახა ჩავლეიშვილმა.

• • •

**თბილისის** „შევარდენმა“ უმასპინძლა ქუთაისის „აიას“ და დამარცხდა 12:44.

V-IX ადგილები.

„აკადემიამ“ მოუგო „მიმინოს“ 21:12, „იმერეთისა“ და „ყოჩების“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 12:12.

---

# „კოლხეთი“ სტამბოლისაკენ მიემგზავრება

ამ რეგატის ჩატარების გეგმა კარგა ხანს მუშავდებოდა. მასში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ხმელთაშუა ზღვის თითქმის ყველა რეგიონის აფროსნობის ფედერაციამ. მიწვევა საქართველოს ფედერაციამაც მიიღო. ჩვენს რესპუბლიკაში კი არიან ადამიანები, რომელთა ოცნება სწორედ ასეთ საკრეისერო რეგატაში მონაწილეობა იყო.

მარშრუტი ასეთი გახლავთ: რეგატის მონაწილენი 12 ივლისამდე უნდა შეგროვდნენ სტამბოლში. სწორედ ამ დღეს აქედან აიღებენ სტარტს მოასპარეზენი — გაივლიან მარმარილოს ზღვას, დარდანელის სრუტეს, ეგეოსის ზღვას; ჩავლენ თურქეთის სამხრეთის საკურორტო ქალაქ ჩეშმში, მერე ქალაქის აკვატორიაში რამდენიმე რბოლას გამართავენ და უკან დაბრუნდებიან ისე, რომ 22 ივლისს მაინც ეგეოსის ზღვაში დაამთავრონ ეს საინტერესო ლაშქრობა.

ღონისძიება მხოლოდ სპორტული თვალსაზრისით როდია საინტერესო. იგი ხელს შეუწყობს რეგატის მონაწილეთა დაახლოება-დამეგობრებას, გამოცდილების შეძენას, ეს ყველაფერი კი ასე საჭიროა საქართველოს რესპუბლიკის აფროსნებისთვის, რომლებმაც მერე და მერე შორს უნდა გაიტანონ სრული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ჩვენი პატარა ქვეყნის სახელი. „კოლხეთის“ ეკიპაჟი რეგატის მონაწილე ქვეყნებთან სპორტული კავშირების დამყარებაზეც იზრუნებს.

მაინც ვინ უნდა დაიცვას საქართველოს სპორტის ღირსება თურქეთის, იტალიის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, რუმინეთის, ხმელთაშუა ზღვის აუზის სხვა ქვეყნების ზღვაოსნებთან ასპარეზობაში? „კოლხეთის“ ეკიპაჟის წევრები არიან საკმაოდ გამოცდილი სპორტსმენებიც და ახალგაზრდებიც, რომლებიც თავიანთი უფროსი კოლეგებისაგან ასეთ რეგატებში უფრო მეტს ისწავლიან, ვიდრე აფროსანთა რამდენიმე რესპუბლიკურ შეჯიბრებაში.

„კოლხეთის“ კაპიტანს თამაზ ზოიძეს, აფროსნობის ვეტერანს ილია ფერაძეს — რესპუბლიკის არაერთგზის ჩემპიონებს, დიმიტრი ვარძელაშვილს მონდომება და გამოცდილება არ აკლიათ და მათი ხელმძღვანელობით ეკიპაჟის სხვა წევრები, ალბათ, თავს არ შეირცხვენენ ამ პირველ დამოუკიდებელ ასპარეზობაში. ისინი ხომ ვალდებულნიც არიან თავი არ დაზოგონ და გაამართლონ საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის, სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროების, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ზრუნვა „კოლხეთისა“ და მისი ეკიპაჟის აღჭურვისათვის.

---

# ოლიმპიური კვირეული საქართველოში

### სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს ცნობა

**ქ. გორი.** აქ გაიმართა სპორტული შეჯიბრებები ძიუდოში, თავისუფალ ჭიდაობაში, მინიფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში. მოეწყო ტურისტული ლაშქრობა შაზალეთის ტბაზე და ატენის ხეობაში.

**ქ. წყალტუბო.** მძლეოსნობაში, მინიფეხბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკსა და შაშში გამართულ ასპარეზობაში 720 ფიზკულტურელი მონაწილეობდა.

**დედოფლის წყარო.** რაიონის სოფლებში უპირატესობა მიანიჭეს სპორტის ეროვნულ სახეობებს და ხალხურ თამაშებს: ქართულ ჭიდაობას, ლახტს, ჰოკით სიგრძეზე ხტომას, ლელობურთს, სიმძიმეების აწევას...

**ოზურგეთი.** ოლიმპიურ კვირეულს მიეძღვნა რაიონის პირველობები ლელობურთში, მძლეოსნურ კროსში, სიმძიმეების აწევაში, ბაგირის გადაძალვაში, ჩატარდა სხვა სპორტული ღონისძიებები.

**ახალქალაქი.** ფაქტობრივად, მასობრივი ღონისძიებების წლევანდელი სპორტული სეზონი ოლიმპიური კვირეულის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებებით გაიხსნა. 600-მდე სპორტის მოყვარული მონაწილეობდა ფეხბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, მძლეოსნობაში, ჭადრაკში ჩატარებულ შეჯიბრებებში.

**ზუგდიდის რაიონი.** აქაც, როგორც დედოფლის წყაროს რაიონში, უპირატესობა მიანიჭეს სპორტის ეროვნულ სახეობებს და ხალხურ თამაშებს: ცხენბურთს, ლელობურთს, ლახტს, სიმძიმეების აწევას. სტარტზე გამოვიდა 1100 ფიზკულტურელი.

**ქ. ზუგდიდი.** ჩატარდა საქალაქო შეჯიბრებები ფეხბურთში, ცურვაში, მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში...

ოლიმპიურ კვირეულთან დაკავშირებით მასობრივი სპორტული ღონისძიებები მოეწყო საგარეჯოს, ლაგოდეხის, მცხეთის, თელავისა და ხაშურის რაიონებში, ქალაქებში ქუთაისში, ფოთში და ტყიბულში.

---

## ინფორმაცია

**რიგა, 1 ივლისი.** აქ გაიმართა საკავშირო ტურნირი სრულკონტაქტიან კარატეში. ტურნირში მონაწილეობდნენ თბილისელი, მოსკოველი, ლენინგრადელი, კიეველი, უჟგოროდელი, მინსკელი, ერევნელი, ბაქოელი და რიგელი კარატისტები, სულ 40 სპორტსმენი. ყველაზე წარმატებით იასპარეზა რიგელმა ალექსანდრე დიაჩენკომ, რომელმაც გაიმარჯვა 81 კილოგრამ და აბსოლუტურ კატეგორიებში. ტურნირის ერთ-ერთი მთავარი სპონსორი იყო რიგის ფირმა „კულტურა“, რომელიც მფარველობს აღმოსავლური ორთაბრძოლების ადგილობრივ სკოლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მრეტები“ — უმაღლეს ჯგუფში

„ივერია“ (ხაშური) — „მრეტები“ (თბილისი) 2:3 (1:0, 2:2, 2:3).

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 30 ივნისი.

„ივერია“: ბრიაუნისი, ავალიანი, ცხოვრებაშვილი, მაღრაძე, პანგურიძე, ხარაზიშვილი (ქიმერიძე), ტარიელაშვილი, კისელიოვი, მჭედლიშვილი (პყოიძე), მღვდელაძე, რობაქიძე.

„მრეტები“: ჯანელიძე, ქორიძე, სიდამონიძე, ქვარცხავა, ყორყოლიანი, ქინქლაძე, ახპინძელაშვილი, ოჩერაშვილი, ჯაგიდისი, ტყავაძე, კვეტენაძე (გოდერძიშვილი).

მსაჯები: ე. ხილაგავა, მ. პელიძე, მ. მალაღურაძე (ყველა — თბილისი).

გააფრთხილეს: ბ. რობაქიძე, ვ. პანგურიძე, ო. მაღრაძე.

გააძევეს: გ. ოჩერაშვილი, გ. ქიმერიძე, ჯ. ჯაგიდისი.

ლანჩხუთის „გურიის“ სტადიონზე 30 ივნისს მატჩის მთავარი მსაჯის საფინალო სასტვენის ხმამ გულშემატკივრებს აუწყა, რომ საგაზაფხულო ჩემპიონატი დამთავრდა და ისტორიის კუთვნილება გახდა. ამას „მრეტების“ გულშემატკივრების ოვაციები მოჰყვა, ხოლო „ივერიის“ ქომაგები კი გაწბილებულნი ტოვებდნენ სტადიონს.

დიახ უმაღლეს ჯგუფს ახალი ბინადარი ჰყავს — თბილისის „მრეტები“ — მართლაც საინტერესო და პერსპექტიული გუნდი.

შეხვედრის პირველი ნახევარი ხაშურელთა შეტევებით დაიწყო და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შეიქმნა „მრეტების“ კართან. 25-ე წუთზე ხარაზიშვილ-კისელიოვის კომბინაციის შემდეგ ამ უკანასკნელმა ანგარიში გახსნა. გატანილი ბურთის მერე „ივერიის“ ფეხბურთელები მოდუნდნენ, რაც შემდგომ გოლის ფასად დაუჯდათ. მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, როცა თბილისელთა ბომბარდირმა ტყავაძემ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ მსაჯმა მასთან უხეში თამაშისათვის 11-მეტრიანი დანიშნა. პენალტი თვით ტყავაძემ დაარტყა, მაგრამ ბრიაუნისმა მოიგერია ბურთი. 71-ე წუთზე ხაშურელები კვლავ დაწინაურდნენ — გოლი პყოიძემ გაიტანა. თბილისელი ფეხბურთელები არც ამ გოლს დაუბნევია და 77-ე წუთზე გაათანაბრეს კიდეც ანგარიში (ოჩერაშვილი). დამატებითი დრო „მრეტების“ აშკარა უპირატესობით წარიმართა, 101-ე წუთზე გადამწყვეტი ბურთი გავიდა: ქორქიკაშვილმა გარღვევა ეფექტური გოლით დაასრულა. შეხვედრის ბოლო წუთებზე „ივერიელებს“ შეეძლოთ მატჩის გადარჩენა, მაგრამ აშკარა საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს, რაც უმაღლესი ჯგუფის დატოვების ფასად დაუჯდათ.

**გოგი გოგოლაძე,**
**„ლელოს“ კორ.**

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## I ჯგუფი

„სიონი“ (ბოლნისი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:3. მსაჯი ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი). გოლები: გაბიძაშვილი („სიონი“), გურაბანიძე-2, ჩინჩალაძე („საპოვნელა“).

„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „სქური“ (წალენჯიხა) 7:1. მსაჯი გ. ხეჩუაშვილი (თბილისი). გოლები: თედეშვილი, გაგნაშვილი-2, ვალაშვილი-3, მამუკაშვილი („ბახტრიონი“), კვარაცხელია („სქური“).

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „სქური“ (ქობულეთი) 1:0. მსაჯი დ. ხანაია (სოხუმი). გოლი: ბენდელიანი („სამეგრელო“).

„დურუჯი“ (ყვარელი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 1:0. მსაჯი ნ. კილაძე (თბილისი). გოლი: ელოშვილი („დურუჯი“).

ფიზკ. ინსტ. (თბილისი) — „იმერეთი“ (ხონი) 3:2. მსაჯი შ. ბერიძე (თბილისი). გოლები: ივანიშვილი, ტოგონიძე-2 (ფიზკ. ინსტ.), ბერძენიშვილი, ვაშაკიძე, („იმერეთი“).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „სიხარული-90“ (გაგრა) 3:0. მსაჯი გ. მხეიძე (ქუთაისი). გოლები: გაჩეჩილაძე, სირაძე, შეყრილაძე, (სტუ).

„ოკრიბა“ (ტყიბული) — „არაგვი“ (დუშეთი) 5:2. მსაჯი თ. მაჭარაძე (ხონი). გოლები: წერეთელი, კალატოზი, კანკია, ფშნჩულიძე-2, („ოკრიბა“), გოგოლაშვილი, მიმინოშვილი („არაგვი“).

„მრეტები“ (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი) 1:3. მსაჯი მ. მალაღურაძე (თბილისი).

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მრეტები“ (თბილისი) | 17 | 13 | 0 | 4 | 31-12 | 39 |
| „კახეთი“ (თელავი) | 17 | 12 | 2 | 3 | 43-18 | 38 |
| „ოკრიბა“ (ტყიბული) | 17 | 9 | 2 | 6 | 22-17 | 29 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 17 | 9 | 2 | 6 | 27-14 | 29 |
| „არაგვი“ (დუშეთი) | 17 | 8 | 3 | 6 | 30-21 | 27 |
| „საპოვნელა“ (თერჯოლა) | 17 | 8 | 3 | 6 | 22-21 | 27 |
| „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) | 17 | 7 | 4 | 6 | 15-19 | 25 |
| „იმერეთი“ (ხონი) | 17 | 7 | 3 | 7 | 19-22 | 24 |
| „ეგრისი“ (სენაკი) | 17 | 7 | 3 | 7 | 18-23 | 24 |
| „სქური“ (წალენჯიხა) | 17 | 6 | 6 | 5 | 25-27 | 24 |
| „ქართლი“ (გორის რ-ნი) | 17 | 7 | 2 | 8 | 21-17 | 23 |
| „არმაზი“ (მცხეთა) | 17 | 7 | 2 | 8 | 21-23 | 23 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 17 | 7 | 1 | 9 | 16-21 | 22 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 17 | 6 | 2 | 9 | 18-29 | 20 |
| სტუ | 17 | 6 | 2 | 9 | 28-34 | 20 |
| „ბახტრიონი“ (ახმეტა) | 17 | 5 | 2 | 10 | 23-26 | 17 |
| „სიხარული-90“ (გაგრა) | 17 | 3 | 5 | 9 | 17-31 | 14 |
| „სიონი“ (ბოლნისი) | 17 | 1 | 6 | 10 | 14-35 | 9 |

# ეს წარმატება პირველი არ გახლავთ

**ნორჩი იბერიელი · იტალიაში**

**იუნიორთა** საერთაშორისო ტურნირში წარმატებით გამოსვლის შემდეგ იტალიიდან თბილისში დაბრუნდა საფეხბურთო კლუბი „ნორჩი იბერიელი“. „კოლონო მონცეზეს“ სტადიონზე გამართულ შეჯიბრებაში ქართველმა ფეხბურთელებმა მეორე ადგილი დაიკავეს, „ნორჩი იბერიელის“ თავდამსხმელი ალეკო იაშვილი კი, როგორც ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი, საგანგებო პრიზით დაჯილდოვდა. აღსანიშნავია, რომ ასეთი რანგის საერთაშორისო ტურნირებზე ალეკო საუკეთესო ფეხბურთელად მეორედ დაასახელეს.

დაბრუნებისთანავე ვინახულეთ კლუბის პრეზიდენტი, ბატონი ომარ უშვერიძე და ალეკო იაშვილი.

**ომარ უშვერიძე:**

— საერთაშორისო ტურნირზე ქართველი ფეხბურთელების კარგად გამოსვლა პირველი შემთხვევა არ გახლავთ. 1990 წელს იტალიასა და ბერლინში გამართულ ტურნირებზე „ნორჩმა იბერიელმა“ არავის დაუთმო პირველობა:

განზრახულია, გაისად საერთაშორისო ტურნირი თბილისშიც ჩატარდეს, გვსურს ჩვენს შეგირდებსაც ვაწვიოთ უცხოელი თანატოლები. სამწუხაროდ, დღეს ასეთი ტურნირის ჩატარება საქართველოში დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. პრობლემები, ცხადია, ჩვენს გუნდსაც აწუხებს, ასე რომ, დახმარება და თანადგომა გვჭირდება. ყველას — პიროვნებებს თუ ორგანიზაციებს, — ვისაც შეუძლია და ისურვებს დაგვეხმაროს ეკონომიკურად, ვაცნობებთ ჩვენი ტელეფონის ნომერს — 95-37-27 — და ვთხოვთ გამოგვეხმაუროს. გვერწმუნეთ, ამით საერთო საქმეს შეეხიდებით.

**ალეკო იაშვილი:**

— ტურნირში მონაწილეობდნენ ცნობილი კლუბებიც — „ინტერი“ და „მილანი“. თავდაპირველად ყველას რუსები ვეგონეთ. ავუხსენით მდგომარეობა, ვუთხარით, რომ ქართველები ვიყავით — ის ხალხი, დღეს რომ თავისუფლებისთვის იბრძვის. როცა ყველაფერი გაარკვიეს, ჩვენი დროშა საპატიო ადგილზე, სხვა ქვეყნების დროშებს შუა დაკიდეს. საბჭოთა კავშირის ჰიმნის ნაცვლად კი „შავლეგო“ აჟღერდა, ვინაიდან საქართველოს ეროვნული ჰიმნის ჩანაწერს ტექნიკური ხარვეზები აღმოაჩნდა. მთელი სტადიონი ჩვენ გვამხნევებდა. ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ.

რაც შეეხება ჩემს, როგორც ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოებას, ეს ჩემი მწვრთნელების: ბატონ თენგიზ ჩარკვიანის, ბატონ ოთარ გეგეჭკორის და, რა თქმა უნდა, ჩემი თანაგუნდელების დამსახურებაა, რომლებიც მთელი ტურნირის განმავლობაში ვაჟკაცურად უტევდნენ მეტოქის კარს.



ალეკო იაშვილი სპეციალური პრიზით.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

**თამრიკო მოლაშვილი**

## მზადება მსოფლიო ჩემპიონატისათვის

**ინტენსიურად** მიმდინარეობს მზადება 1994 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატისათვის. წლეულს, 8 დეკემბერს, ნიუ-იორკში მოეწყობა მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრა. ამის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადეს შეჯიბრების ორგანიზატორებმა. წილისყრა დაიწყება 12 საათზე ადგილობრივი დროით „მედისონ სკვერ გარდენის“ ცნობილი სპორტული დარბაზის შენობაში. კენჭისყრის მსვლელობას გადასცემენ მთელ მსოფლიოში.

წინასწარი ცნობებით, წილისყრაში მონაწილეობა უნდა მიიღოს 120 ქვეყანამ, გუნდები ტერიტორიული ნიშნით დაიყოფიან ჯგუფებად და შეუდგებიან ორწლიან ბრძოლას 22 ადგილისათვის. ამ 22 გამარჯვებულს შეუერთდებიან ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ჩემპიონატის მასპინძლის და გერმანიის, როგორც მსოფლიო ჩემპიონის, გუნდები, რომლებიც თავისუფალი არიან წინასწარ შეჯიბრებათა ციკლიდან.

საინტერესოა, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრა არ იმართება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბბინაზე შვეიცარიაში.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## ბრუნდებიან

„რომას“ მეკარე ანჯელო პერუცი და ამავე გუნდისა და ნაკრების ცნობილი თავდამსხმელი ანდრეა კარნევალე ოქტომბერში დაუბრუნდებიან მწვანე მინდორს. ზუსტად ერთი წლის წინ, ანტისადოპინგო შემოწმების დროს, მათ დაუმტკიცდათ სტიმულატორული საშუალების გამოყენება და დისკვალიფიკაციაც მიიღეს. ეს იყო უკანასკნელი შემთხვევა, იტალიაში, როცა ფეხბურთელებმა დოპინგს მიმართეს. მაშინ „რომამ“ დიდი ფულადი ჯარიმაც გადაიხადა.

## გამოცდილი მწვრთნელის აზრით

43 წლის ჰორსტ კიოპელმა, რომელიც ადრე ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ასისტენტი იყო, ახლა კი დორტმუნდის „ბორუსიას“ უდგას სათავეში, აზრი გამოთქვა აღმოსავლეთგერმანული გუნდების შესახებ:

— ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთი არც ისე სუსტია, როგორც ზოგიერთი გვიხატავს, ადრე მათგან ბუნდესლიგაში ოთხი-ხუთი გუნდი მაინც შეძლებდა თამაშს. თუმცა, ბოლო ხანებში, მდგომარეობა გაუარესდა.

## ვეტერანი გამოეთხოვა ნაკრებს

კიდევ ერთმა ვეტერანმა — 35 წლის ფრენკ სტეპლტონმა, გადაწყვიტა გამოეთხოვოს ირლანდიის ნაკრებს.

სტეპლტონმა გაიარა გზა, რომელიც ირლანდიელი პროფესიონალი ფეხბურთელისათვის ტიპიურად უნდა მივიჩნიოთ. მან პატარაობიდანვე დატოვა სამშობლო და ირლანდიას იშვიათად ესტუმრებოდა ხოლმე. თავისი კარიერა „ბოლტონ ატლეტიკში“ დაიწყო, სადაც ყურადღება თავისი დიდი შედეგიანობით მიიქცია. შემდეგ მას უფრო მაღალი კლასის კლუბებმა მოუნდომეს გადაბირება. თავისი საუკეთესო წლები სტეპლტონმა ლონდონის „არსენალსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედში“ გაატარა. ინგლისის ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი გახდა. შემდეგ, როცა ამსტერდამის „აიაქსის“ მესვეურებმა ამ სახელოვანი კლუბის აღორძინება გადაწყვიტეს, მიიწვიეს სტეპლტონი, რომლის თამაშზეც მწვრთნელი იოჰან კრუიფი მეტად მაღალი აზრისა იყო. როცა კრუიფმა „აიაქსი“ დატოვა, ირლანდიელიც იქ დიდხანს აღარ დარჩენილა, იგი დასთანხმდა ინგლისის ექსჩემპიონ „დერბი ქაუნთის“ წინადადებას და ამ გუნდში გააგრძელა თამაში.

სტეპლტონის ძირითადი ასპარეზი ეროვნული ნაკრები იყო, სადაც, 1976 წლის 13 ოქტომბრიდან მოყოლებული, თითქმის უცვლელად გამოდიოდა. იგი წლების განმავლობაში ამ გუნდის კაპიტანი და საუკეთესო სნაიპერი იყო.



## სხვის ცოდვებს აბრალებენ

ბევრი იტალიელი ექსპერტი, გულშემატკივრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ესხმის თავს უკანასკნელი მსოფლიო პირველობის ერთ-ერთ გმირს სალვატორე სკილაჩის და წერს, რომ იგი უაღრესად ულიმღამოდ თამაშობს, ვერა და ვერ მიაღწია იმ დონეს, რომელიც შარშანდელი ზაფხულის დროს ჰქონდა.

სკილაჩის, რომელსაც ქომაგების დიდ ნაწილში არ დაუკარგავს პოპულარობა, დამცველებიც ჰყავს. ისინი, თავის მხრივ, ამტკიცებენ, რომ ტოტო სულაც არ თამაშობს ცუდად და მისი ბრალი არ არის, რომ „იუვენტუსში“ მთელი სეზონის მანძილზე ყველაფერი არეული იყო და არც იტალიის ნაკრები გამოიყურებოდა ბევრად უკეთესად. ქომაგები მიიჩნევენ, 1991-92 წლების სეზონი სკილაჩისათვის გაცილებით უკეთესი უნდა გამოდგეს.

## ოთხწლიანი კონტრაქტით — მაროკოში

ცნობილი გერმანელი სპეციალისტი 53 წლის ვერნერ ოლკი, რომელიც ადრე მიუნხენის „ბაიერნს“, ბრაუნშვაიგის „აინტრახტს“, „კარლსრუეს“, „ფრაიბურგსა“ და „დარმშტადტ 98“-ს წვრთნიდა, უკვე ერთი წელია, სათავეში უდგას მაროკოს ნაკრებს. ოლკის კონტრაქტი ოთხწლიანია. მას ამოცანად დაუსახეს ნაკრების მოხვედრა მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის ფინალურ ნაწილში, შემდეგ კი ვნახოთ...

ახლა მაროკოელებს სერიოზული საფეხბურთო ამბიციები აქვთ და, სხვათა შორის, აპირებენ მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის მოწყობასაც, თუ, რა თქმა უნდა, ფიფა-მ ამის ნება დართო.

## ● უმაღლესი ჯგუფი

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იბერია“ (თბილისი) | 19 | 14 | 5 | 0 | 45-9 | 47 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 19 | 14 | 4 | 1 | 38-15 | 46 |
| „ქუთაისი“ (ქუთაისი) | 19 | 11 | 2 | 6 | 34-30 | 35 |
| „კოლხეთი-1913“ (ფოთი) | 19 | 10 | 3 | 6 | 30-19 | 33 |
| „ბათუმი“ (ბათუმი) | 19 | 10 | 2 | 7 | 28-21 | 32 |
| „ცხუმი“ (სოხუმი) | 19 | 9 | 4 | 6 | 34-26 | 31 |
| „ოდიში“ (ზუგდიდი) | 19 | 8 | 3 | 8 | 33-27 | 27 |
| „მარგვეთი“ (ზესტაფონი) | 19 | 8 | 3 | 8 | 32-32 | 27 |
| „გორდა“ (რუსთავი) | 19 | 7 | 5 | 7 | 34-22 | 26 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 19 | 8 | 1 | 10 | 28-36 | 25 |
| „დილა“ (გორი) | 19 | 7 | 3 | 9 | 29-32 | 24 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 19 | 7 | 3 | 9 | 21-34 | 24 |
| „მერცხალი“ (ოზურგეთი) | 19 | 7 | 1 | 11 | 22-31 | 22 |
| „შევარდენი-1906“ (თბილისი) | 19 | 6 | 4 | 9 | 30-26 | 22 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 19 | 6 | 4 | 9 | 27-30 | 22 |
| „მზიური“ (გალი) | 19 | 6 | 4 | 9 | 25-28 | 22 |
| „ხულორი“ (ვანი) | 19 | 6 | 3 | 10 | 29-41 | 21 |
| „ამირანი“ (ოჩამჩირე) | 19 | 4 | 6 | 9 | 27-34 | 18 |
| „ხანავარდი“ (სამტრედია) | 19 | 4 | 6 | 9 | 19-42 | 18 |
| „ივერია“ (ხაშური) | 19 | 4 | 2 | 13 | 12-39 | 14 |

**28 ივნისს** სენაკში, შედგა მეათე ტურის გაპროტესტებული მატჩი ქუთაისის „ქუთაისსა“ და სოხუმის „ცხუმს“ შორის. გაიმარჯვა „ცხუმმა“ — 3:1.

## ტურნირები და შედეგები

● **ამსტერდამი.** გაიმართა ფეხბურთელთა მსოფლიო ლიგის მორიგი მატჩი, რომელშიც ჰოლანდიის ნაკრებმა დაამარცხა კანადის გუნდი 3:1. სხვა შეხვედრები დამთავრდა ასე: საფრანგეთი — კუბა 1:3, სამხრეთ კორეა — იაპონია 3:0, იტალია — სსრ კავშირი 3:2.

● **ფრანკფურტი.** აქ დამთავრდა ევროპის თასის გათამაშება მძლეოსნობაში. გუნდური ადგილები განაწილდა ასე: ქალები. 1. სსრკ, 2. გერმანია, 3. ინგლისი. ვაჟები. 1. სსრკ. 2. ინგლისი, 3. გერმანია.

● **ტალინი.** ესტონეთის დედაქალაქის „დიდი პრიზი" ველოსპორტში მოიგო ოლიმპიურმა ჩემპიონმა ტალინელმა ერიკა სალუმიაემ. იგი პირველი იყო 200 (11,741), 500 (32,694) და 1000 მეტრზე გატში ხელით (1.11,364). სამივე შედეგი ტრეკის ახალი რეკორდია.

## ინფორმაცია

● I ლიგაში სოხუმის დინამოელებმა შინ მოუგეს ალმა-ათის „ქაირათს" — 2:1.

● **ექიმების** ცდის მიუხედავად ცსკა-ს 23 წლის მეკარე მიხეილ ერიომინი 30 ივნისს გარდაიცვალა საავტომობილო კატასტროფაში მიღებული მძიმე ტრავმების შედეგად.

● **საბჭოთა** კავშირის ჩემპიონატში (უმაღლესი ლიგა) გაიმართა ორი შეხვედრა: „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „პამირი" (დუშანბე) 2:0, „ტორპედო" (მოსკოვი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 1:0.

**ცნობილი** იუგოსლაველი მწვრთნელი ბორა (ველიბორ) მილუტინოვიჩი ლათინურ-ამერიკულ საფეხბურთო წრეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, რაც მან წარმატებით დაიმსახურა.

მილუტინოვიჩი ახლაც სიამოვნებით იგონებს იმ პირობებს, რომლებიც მას კოსტა-რიკის ნაკრებში მუშაობის დროს შეუქმნეს. თავად განსაჯეთ: თვეში უხდიდნენ 6 ათას დოლარს, ბინის ქირას, მისცეს მანქანა, საერთო ანგარიშით მილუტინოვიჩის შემოსავალი ექვსჯერ (!) აღემატებოდა კოსტა-რიკის რესპუბლიკის პრეზიდენტის შემოსავალს.

## „მერანი" № 8-9

**ბოგონათა** შორის ჭადრაკში ევროპის ჩემპიონები გახდნენ სოფიკო ტყეშელაშვილი და მაია ლომინეიშვილი. სწორედ ამ მნიშვნელოვან მოვლენას ეხება გიორგი მაჭარაშვილის წერილი, რომელსაც საჭადრაკო გაზეთ „მერანის" გაერთიანებული, ახალი მე-8-9 ნომრის ორი გვერდი ეთმობა.

მკითხველი დიდი ინტერესით გაეცნობა ევგენი მელიქსეთბეგის ვრცელ ინტერვიუს იუგოსლაველ საერთაშორისო დიდოსტატ მილუნკა ლაზარევიჩთან, რომელიც არამარტო საჭადრაკო თემაზე გვესაუბრება.

„მერანის" ამ ნომერში დიდი ადგილი უჭირავს გრიგოლ მამფორიას ინტერვიუს სამ უცხოელ ახალგაზრდა მოჭადრაკესთან. ისინი მოგვითხრობენ თავთავიანთ სამშობლოში ქართული ჭადრაკის პოპულარიზაციის შესახებ.

ახლახან თბილისის რესპუბლიკურ ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს ვაჟთა პირველობის პირველი ლიგის მეორე ეტაპი, რომელსაც მიმოიხილავს ვასილ ვაშაკიძე.

ამ ნომერში დიდი ადგილი ეთმობა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო ტურნირის პარტიათა ტექსტებს.

წლეულს, 26 ნოემბერს გამოჩენილ ამერიკელ დიდოსტატ სემუელ რეშევსკის 80 წელი შეუსრულდება და „მერანის" მე-14 გვერდზე გთავაზობთ ნაწყვეტებს რეშევსკის ერთ-ერთი ინტერვიუდან, რომელიც მოამზადა გივი გამრეკელმა. ქვეყნდება გ. გამრეკელის მეორე წერილიც — იგი ეხება მსოფლიო ექსჩემპიონ ვასილ სმისლოვის დაბადების 70 წლისთავს.

„მერანის" ამ ნომერში მკითხველი გაეცნობა, აგრეთვე, მრავალ საინტერესო ინფორმაციას და ფოტომასალას.

დაბოლოს, შეგახსენებთ, რომ „მერანი" ფინანსურად დამოუკიდებელი გახდა, გაზეთ „ლელოსთან" არსებულ ამ საჭადრაკო დამატებას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე სპონსორი. სპონსორობის უფლება აქვთ როგორც ინდივიდუალურ პირებს, ისე ორგანიზაციებს, კოოპერატივებს, წარმოება-დაწესებულებებს და ა. შ.

შეგახსენებთ, „მერანის" ანგარიში: თბილისი. საბურთალოს რაიონის ბინსოცბანკი—№ 100609529.

„მერანს" თქვენი თანადგომისა და გულისხმიერების იმედი აქვს.

## „სპორტლოტო"

**ჩაიმართა** „სპორტლოტოს" 1991 წლის 26-ე და სუპერტირაჟების გათამაშება.

**26-Ე ტირაჟები:**

„სპორტლოტო 6 45". 2 (ბიატლონი), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 18 (მძლეოსნობა), 24 (ხელბურთი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში), 41 (მაგიდის ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36": 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 16 (ცხენოსნობა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 29 (სასტენდო სროლა), 34 (ბალახის ჰოკეი).

**სუპერტირაჟები:**

„6 45": 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 16 (ცხენოსნობა), 25 (ციგაობა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 28 (ტყვიის სროლა).

„5 36": 1 (კალათბურთი), 2 (ბიატლონი), 3 (ბობსლეი), 8 (ველოსპორტი, ტრეკი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

# „მანი-კურსი" გამოცდას აბარებს

**ბოლო ორი** ეტაპის წინ (კანადა, მექსიკა) „ფორმულა 1" კლასის რამდენიმე გუნდი საფრანგეთში გაემგზავრა ახალი ავტოდრომის გამოსაცდელად.

აირტონ სენამ მხოლოდ რამდენიმე წრე გაიარა „მანი-კურსზე" — ტრასაზე, რომელიც საფრანგეთის „გრან პრის" გათამაშებას უმასპინძლებს 7 ივლისს. მას მეტოქეებმა აჯობეს, კერძოდ ნაიჯელ მენსელმა (ინგლისი, „უილიამს-რენო"), რომელმაც ერთი წრე დაფარა 1 წუთსა და 17,96 წამში და ჟან ალეზიმ (საფრანგეთი, „ფერარი")— 1 წუთი, 19,67 წამი. იმ დღეს ბრაზილიელი პილოტი უხასიათოდ იყო. არა, მას საკუთარი „მაკლარენ-ჰონდას" ტექნიკური მდგომარეობა არ აწუხებდა. ქალაქ ნიცაში ჩამოსვლისას აირტონ სენამ გაიგო, რომ შესაკეთებელია... მისი რეაქტიული თვითმფრინავი.

„მანი-კურსზე" კონსტრუქტორთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ მოწყობილ საცდელ რბოლებში საუკეთესო დრო აჩვენა ჟან ალეზიმ. „ფერარის" პილოტმა საკვალიფიკაციო რბოლებისთვის განკუთვნილი საბურავების წყალობით ოდნავ გაუსწრო რიკარდო პატრეზეს — 1 წუთი, 15,91 წამი. ალეზის დროა 1 წუთი, 15,52 წამი. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „ფერარი") მეექვსე იყო, მაგრამ ავარია შეემთხვა. აირტონ სენამ, რომელმაც მეშვიდემ დაასრულა შეჯიბრება (1 წუთი, 18,71 წამი) შენიშვნები გამოთქვა ავტოდრომის მიმართ: „ორი მოსახვევი ძალზე სახიფათოა და მხოლოდ ერთი ადგილია, სადაც გასწრება შეიძლება".

ალენ პროსტმა ყველაზე სწრაფად გაიარა ერთი წრე (1 წუთი, 15,72 წამი) „მანი-კურსზე" სამდღიანი საცდელი რბოლების ბოლოს. მეორე იყო ნაიჯელ მენსელი — 1 წუთი, 16,93 წამი, მეშვიდე აირტონ სენა — 1 წუთი, 18,11 წამი.

„მანი-კურსის" შემდეგ „ფერარიმ" და „უილიამსმა" სამდღიანი საწვრთნელი რბოლები ჩაატარეს „იმოლას" ტრასაზე. ქალაქ მოდენას გუნდისთვის ავტომობილები გამოსცადა ჟან ალეზიმ, რომელსაც, მოგვიანებით, ანდრეა მონტერმინიც (იტალია) შეუერთდა. „უილიამსის" ავტომობილები გამოსცადეს რიკარდო პატრეზემ და გუნდის გამომცდელმა დეიმონ ჰილმა. „ფერარის" დაგეგმილი ჰქონდა, აგრეთვე, ავტომობილების გამოცდა „ფიორანოს" ავტოდრომზე ჟანი მორბიდელის დახმარებით.

აქვე გამოცხადდა, რომ ძალზე გადაღლილი ალენ პროსტი ისვენებს და ცოტა მოგვიანებით შეუერთდება თავის გუნდს.

რიკარდო პატრეზემ საუკეთესო დრო აჩვენა(1 წუთი, 25,07 წამი) „იმოლაზე" სამდღიანი საწვრთნელი რბოლების ბოლოს. მან 50 წრე გაიარა და საბოლოოდ „ბოლო მოუღო" „უილიამსის" ძრავას. „იმოლას" ავტოდრომზე გამოჩნდა „ფერარის" ახალი ხელმძღვანელობაც: პიერო ლარდი ფერარი და კლაუდიო ლომბარდი.

მაშინ, როცა ჟან ალეზი „იმოლას" ავტოდრომზე მთელი სამი დღის განმავლობაში გულმოდგინედ მუშაობდა, „ფერარის" მეორე პილოტი ალენ პროსტი, რომელზეც ხმა დაირხა, ავად არისო... ემზადებოდა „ფიორანოზე". პროსტი იმ ავტომობილს ცდიდა, რომლითაც 2 ივნისს მონრეალში კანადის „გრან პრის" გათამაშებაში უნდა გამოსულიყო. „იმოლაზე" ალეზიმ 30 წრე გაიარა და აჩვენა დრო — 1 წუთი, 25,63 წამი. მას საგრძნობლად ჩამორჩა „უილიამს-რენო", რომელსაც გუნდის ტესტ-დრაივერი — დეიმონ ჰილი მართავდა.

„მაკლარენ-ჰონდა" კვლავ დაუბრუნდა „მანი-კურსს" საცდელი რბოლისთვის. ამჯერად, აირტონ სენას არყოფნის გამო, გერჰარდ ბერგერთან (ავსტრია) ერთად ავტომობილები გამოსცადა ამერიკელმა მაიკლ ანდრეტიმ, რომელმაც ცოტა ხნის წინ „მილუოკის 200-მილიანი" რბოლა მოიგო ბიძაშვილთან, ჯონ ანდრეტისთან და მამასთან, მარიო ანდრეტისთან ერთად.

„ფერარი" კი კვლავ „ფიორანოზე" ცდიდა ავტომობილებს ანდრეა მონტერმინისთან ერთად.

„ბენეტონ ფორმულას" ახალმა გენერალურმა დირექტორმა, ფლავიო ბრიატორემ, „აზრთა შეუთანხმებლობის გამო", გუნდის ტექნიკური დირექტორის პოსტიდან გაათავისუფლა ინგლისელი კონსტრუქტორი ჯონ ბერნარდი და თავად იკისრა მთელი ხელმძღვანელობა.

მან ბერნარდის ნაცვლად დანიშნა გორდონ კიმბოლი. 1952 წელს დაბადებული კალიფორნიელი კონსტრუქტორი 1987-დან 1989 წლის ჩათვლით „ფერარის" ტექნიკური დირექტორის ასისტენტად მუშაობდა.

„ფერარიდან" ჩეზარე ფიორიოს „წასვლისა" და ჯონ ბერნარდის „ბენეტონიდან" გათავისუფლების შემდეგ, ახლა ჰარვი პოსტლიტუეიტმა მიატოვა „ტაირელის" ტექნიკური დირექტორის პოსტი. ამ კონსტრუქტორთან, რომელმაც შარშან სპეციალური პრიზი მიიღო ავტომობილის აეროდინამიკურად გაუმჯობესებული „ულვაშისებური" წინა ელერონის გამოგონებისთვის, კონტრაქტი მთავრდება ივლისის თვეში, მაგრამ მენეჯერმა კენ ტაირელმა განაცხადა, რომ გუნდი უკვე ჩაიბარა მთავარმა კონსტრუქტორმა ჯორჯ რაიტონმა.

მაშინ, როცა პოსტლიტუეიტმა დააწინაურა „ტაირელის" საქმე, გამოცდილი ინჟინერი „მერსედესმა" გადაიბირა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც რონ ბრაუნის (რომელიც „ფორმულა 1"-დან პროტოტიპებ-



ში გადავიდა) მიერ კონსტრუირებულმა „იაგუარებმა" სულ ცოტა ხნის წინ დაამარცხეს გერმანული გუნდის ავტომობილები.

ალბათ, პეტერ საუბერს იმედი აქვს, რომ ჰარვი პოსტლიტუეიტი მას დაეხმარება გუნდში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში. ამავე დროს, გამორიცხული არაა, რომ ეს ნაბიჯი გადაიდგა „მერსედესის" „ფორმულა 1" კლასში დასაბრუნებლად.

დაბოლოს, ჩეზარე ფიორიოს, ამჟამად წყალსამოტორო სპორტში პირველი კლასის კატამარანებით (ე. წ. „ოვშორი") მოასპარეზე გუნდის „დესტროიეროს" ახალ ტექნიკურ დირექტორს ინგლისიდან შეატყობინეს, რომ „ფორმულა 1" კლასის ერთ-ერთი გუნდის წარმომადგენლებს (ფიქრობენ — რომ „უილიამსისას") სურთ მოელაპარაკონ მას ავტორბოლებში დაბრუნებაზე.

**დავით ჩუბინიძე**

## „სპორტლოტო"

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტლოტოს" 1991 წლის 25-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45": დაშვებულია 1.198.177 ვარიანტი. 6 ნომრის გამოცნობისთვის (1) მოგება 95.254 მანეთია, ხუთისთვის (59) — 1.292, ოთხისთვის (2.329) — 83.

საქართველოში: დაშვებულია 24.748 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—31.

„სპორტლოტო 5 36": დაშვებულია 10.933.973 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (11) მოგება 45.845 მანეთია, ოთხისთვის (2.564) — 302, სამისთვის (103.572) — 12.

საქართველოში: დაშვებულია 161.273 ვარიანტი. 5—0, 4—52, 3—1. 912.

25-ე და 16-25 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 13 ივლისიდან 13 აგვისტოს ჩათვლით.

## „სპორტპროგნოზი"

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 1991 წლის 25-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 1.282.705 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (2) მოგება 16.034 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (35) — 1.832, 11 შედეგის გამოცნობისთვის (574) — 391.

საქართველოში: დაშვებულია 48.147 ვარიანტი. 13—0, 12—1, 11—23.

25-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 13 ივლისიდან 13 აგვისტოს ჩათვლით.

რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

## კოოპერატიული ფირმა „დეტექტივი"

**სთავაზობს**

**ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, საწარმოებს, კოოპერატივებსა და მოქალაქეებს მომსახურების შემდეგ სახეებს:**

— ორგანიზაციათა დაცვა: მათ შორის, ერთობლივი საწარმოების, კოოპერატივების და კერძო პირებისა.

— ტვირთების, ფასიანი ქაღალდების, დოკუმენტების, სამედიცინო პრეპარატების გაცილება ყველა სახის ტრანსპორტზე, როგორც რესპუბლიკაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ამასთან, ფირმა კისრულობს მთლიან მატერიალურ პასუხისმგებლობას.

— დახმარებას უწევს კერძო და იურიდიულ პირებს მიყენებული ზარალის ანაზღაურებაში.

— კერძო პირთა და ორგანიზაციათა შეკვეთით ახდენს პარტნიორების მიზნობრივ და სხვა სახის შემოწმებებს.

— არასრულწლოვანთა სწორად აღზრდის საქმეში სოციალურ და სამართლებრივ დახმარებას.

— ინფორმაციის მიწოდებას, მოპოვებას და რეალიზაციას ყველა სახის უგზოუკვლოდ დაკარგული პირების მიმართ.

**დაკვეთების შესრულების ხარისხი და სისწრაფე ფირმა „დეტექტივის" წარმატებით მუშაობის საფუძველია.**

ფირმა დამატებით აცხადებს 22-დან 40 წლამდე ასაკის იურისტების, ოპერატიული გამოცდილების სტაჟის მქონე პირების, სპორტსმენებისა და კინოლოგების მიღებას.

ფირმის მისამართია: თბილისი, შევჩენკოს ქ. № 3, ტელ.: 93-54-46, კვირის გარდა.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ქორქია, კორექტორები: ც. ჩიტიშვილი და მ. ძიძამიძე.

[illegible]

INDEX ИНДЕКС 66435

[illegible]